# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, გარანტოვი-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893


ამა მაისის 6-ს გარდაიცვალა სამხედრო—საექიმო აკადემიის სტუდენტი **ნიკოლოზ სიმონის ძე ქიქოძე**, რასაც უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა დედა, დები და ძმები მიცვალებულისა. პანაშვიდი იქნება ყოველ დღე დილით 12 საათზე და საღამოთი 7 საათზე ლაბორატორის ქუჩაზე, სახლი № 37; ხოლო გამოასვენებენ მიცვალებულის გვამს კვირას, 9 მაისს, 9 საათზე დილით, წმ. დავითის ეკკლესიაში, სადაც დაასაფლავებენ.

---

**ეფემია და მელანია** წილოსნისანი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 9-ს მაისს, ვერაზედ, იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი, მოსახსენებლად პირველის შვილისა და მეორეს მეუღლისა, პოლკოვნიკის **ნიკოლოზ იოსების ძის წილოსანისა.** წირვა დაიწყება დილის ათ. საათზე. (2—1)

---

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისა აუწყებს ბბ. ბანკის წევრთა, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე-79 მუხლისა, წლიური მორიგი კრება დაინიშნა ამ 1893 წლის ოცდა ხუთის მაისისათვის, დღით, თერთმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში, ქარავან-სარაის ქუჩაზე.

კრების განსახილველი საგნებია:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1892 წლის ანგარიშისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის 1893 წლისა.

გ) განაწილება იმ თანხისა, რომელიც დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის მიწათ მფლობელთა საზოგადო საჭიროებისათვის.

დ) შეცვლა და დამატება ზოგიერთა ბანკის წესდების მუხლთა.

ე) სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და პირთა თხოვნები, რომელნიც საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს.

და ვ) აღრჩევა ვადით გამომსვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა და კანდიდატის და ზედამხედველის კომიტეტის წევრთა.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხ., ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზანონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდება პატრონებს. (5—1)

---

## თავადი ალექსანდრე დონდუკოვი

—

ჩვენ მოველოდით, რომ რუსული გაზეთები რაიმე საინტერესო ამბებს მოგვიტანდნენ გადაცვალებულის თავადის ალექსანდრე დონდუკოვის შესახებ. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. უველა ბიოგრაფიები განსვენებულისა თითქოს ერთსა და იმავე კანცელარიაში იყოს შედგენილი და, გარდა ოფიციალურის ცნობებისა, ვერაფერი ვერ ვიპოვნეთ ამ ნაწერებში.

თავადი დონდუკოვი, რასაკვირველია, საყურადღებო მოღვაწე იყო, ნამეტურ კავკასიისათვის, რადგანაც ათის წლის განმავლობაში განაგებდა ამ ქვეყნის საქმეებს. ჩვენ გვსურდა, რომ ნამდვილი და სრული სურათი დაგვეხატა ამ შესამჩნევ საზოგადო მოღვაწისა, მაგრამ საკმაო მასალების უქონლობის გამო, ეს განზრახვა დრომდის უნდა დარჩეს. ყოველს შემთხვევაში, ვეცდებით მაინც ცოტა რამ ვსთქვათ განსვენებულის თავადისა და მის მიერ ქვეყნის მართვა-გამგეობის შესახებ.

თავადი ალექსანდრე დონდუკოვი არ იყო უცნობი ქართველებისთვის. ტფილისს კარგად ახსოვდა თავადის ვორონცოვის ახალგაზდა დარდიმანდი ადიუტანტი თ. ალექსანდრე დონდუკოვი. ქართველ საზოგადოებას ერთობ ღრმად ჰქონდა ჩანერგილი გულში ვორონცოვის პატივისცემა და სიყვარული და ამიტომ იმასთან ნამსახურის კაცის მთავარ-მმართებლად დანიშვნას აღტაცებით მიეგება მთელი ერი.

ხალხში ჯერ კიდევ ცხოველი იყო ათას გვარი შემთხვევა და მაგალითი, რომელიც ამტკიცებდა ვორონცოვის უმაღლეს სახელმწიფო ნიჭს, იმის სიბრძნეს, მზრუნველობას ქვეყნისათვის და იმის სიყვარულს ქართველ ერისას.

ამას გარდა, ახალ მთავარ მმართებელს აქ დახვდნენ მრავალი ძველი ნაცნობნი და მეგობარნი. საგულისხმო იყო, რომ თავადი დონდუკოვი ჩინებულად შეასრულებდა უმაღლესად მინდობილს მძიმე საქმეს. მართლაც ყოველივე უწყობდა ხელს განსვენებულს თავადს, რომ თავისი მოვალეობა აღესრულებინა. ახლად ჩაბარებულ ქვეყნის მკვიდრთა ცნობა, მათის საჭიროების ცოდნა, საკმაო დიდი გამოცდილება, სხვა სახელმწიფო ასპარეზზედ სამსახური რუსეთსა და ბოლგარიაში და, უკანასკნელად, მოძღვრება დიდის ვორონცოვისა, ყოველი ესე გვარწმუნებდა რომ ახალი ქვეყნის მმართველი საჭირო და სანატრელ საქმეთა მიმდინარეობას გაუძღვებოდა მოსაწონად. ბოლგარიის მშვენივრად შედგენილმა კონსტიტუციამ, რომლის ავტორი იყო თავადი დონდუკოვი, დაანახა ქვეყანას, რომ თავადს გონივრად ჰქონდა შეგნებული ერის საჭიროება. ბოლგარების პატივისცემა თავის გამგებელისადმი—ომის შემდეგ თავადი დონდუკოვი დანიშნული იყო ბოლგარიის გამგებლად—იქამდის მივიდა, რომ თავადი დონდუკოვი დასახელებულ იქმნა ბოლგარიის ტახტის კანდიდატად. აი, ასეთი ყურადღება და სიმპატია დაიმსახურა განსვენებულმა თავადმა ბალკანეთის კუნძულზედ. ამ ნაირის წარსულის მქონე მოღვაწეზედ, რასაკვირველია, იმედი ექმნებოდა ქვეყანას, რომ იგი შეიქმნებოდა ერის საჭიროების გამომხატველი და მოსარჩლე უმაღლესის მთავრობის წინაშე.

ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოველ იმ საქმეთა და საჭიროებათა, რომელთა მსვლელობა შეჩერებული იყო სხვა და-სხვა მიზეზთა გამო, თ. დონდუკოვის დანიშვნის შემდეგ მთავარ-მართებლად, ყველა ამ საქმეებს მიეცემოდა კანონიერი გზა და დაკმაყოფილება. მის ძველს მეგობრებს იმედი ჰქონდათ, რომ ალექსანდრე მიხეილის ძე მოიწვევდა იმათ ქვეყნის საჭიროების გამოსაკვლევად, მოისმენდა იმათ აზრს, დაიხმარებდა საგნების გარჩევასა და განსჯაში, მაგრამ თ. დონდუკოვმა ესეები არ დაინახა საჭიროდ. ახალმა მთავარ-მართებელმა სრულიად ახალი გზა აირჩია. ვორონცოვი და მისი სათნო პოლიტიკა თურმე დაძველებულიყო და, როგორც ანახრონიზმი, არ იქმნა ცნობილი სახელმძღვანელოდ.

დღეს ამ საგანზედ მეტს არას ვიტყვით. შემდეგში ვეცდებით გავარჩიოთ ორთავე მთავარ-მართებელთა აზრი და ვნახოთ, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სამსახური ქვეყნისა.

---

# ფელეტონი

—

**ცხოვრება და პოეზია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა**

(ვუძღვნი თავ. ნიკ. რევაზის ძეს ერისთავს).

(შემდეგი *)

### VI

სანამ ბარათაშვილის შემოქმედებითს ძალაზე დავიწყებდეთ ლაპარაკს და მისს ნაწერებს ჩავუკვირდებოდეთ, უნდა ვნახოთ, რა მდგომარეობაში იყო ქართული მწერლობა იმ დროს, როდესაც დაიწყო წერა პოეტმა. რაც უნდა მტერნი ვიყვნეთ წინასიტყვაობისა, ჩვენ მაინც უნდა ვათხოვოთ ფიქრი და მოცალეობა ამ საგანს. ქართულს მწერლობაში ჟურნალ «ცისკრამდის» განვლილი დრო ის დრო არის, რომელსაც ისტორიაში ეძახიან ისტორიის წინა დროებს. ბარათაშვილის სიცოცხლეში ჯერ პირველი დღე შემოქმედებისა არ დამდგარიყო და საქართველოს მწერლობაში სუფევდა მეუფება ხაოსისა. ამ ხაოსის სურათი თუ არ გვექნა თვალ-წინ, ახალის მწერლობის სრულად გაგებაც შეუძლებელი გაგვიხდება.

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდამ ამ დროს 30-ს წელს გაევლო. ახალს დროებას, რამდენადაც იყო, სულ ყოველისფერისთვის ფერი ეცვალა. ცოტა რამ, მაგრამ სულ ცოტა, ცოტა, ცვლილება დასჩენოდა იმ ათასის წლის მოხუცს, იმ ჟამად უსულოდ მდებიარეს, რომელსაც ეძახიან ქართულს მწერლობას. განა თუ ამ მოხუცს ძარღვები სისხლით ავსოდა და ძალი რამ მომატებოდა. არა. ის იგივე იყო, რაც მარადჟამ. მხოლოდ ახალმა დროებამ, ახალის ცხოვრების და მწერლობის გაცნობამ ქართულს მოწინავე საზოგადოებაშიაც გააღვიძა იქა-აქ ახალი სამწერლო სურვილი, გარნა წიგნის მკითხველი საქართველო ისევ იმ ძველს ატმოსფერას სუნთქავდა, რომლთაც იყო გარემოცული ქართული მწერლობა, პეტრიწიდამ დაწყებული იოანე ბატონიშვილამდის და ანტონ ჭყონდიდლამდის. ესეთია ძლიერება დროებისგან აგებულის შენობისა. ზნეობითს და გონებითს სფერაში რაც დროებას შეუქმნია, იმის შემუსრვა მხოლოდ დროებას შეუძლია. აგერ ოთხმოცდა-ათი წელია, რაც ახალი ცხოვრების რეჟიმი სუფევს ჩვენში, აგერ ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც ჟურნალ-გაზეთებს გააქვს და გამოაქვს ახალი სიტყვა საქართველოს ყოველს კუთხეში, აგერ, საცაა, ოჯახი არ გადარჩენილა, საცა ბ-ნ გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნი არ შესულიყოს, მაგრამ ძველის მწერლობის გავლენა ისევ ისე ძლიერია ჩვენში, იმის ძალას ისევ ისე მაგრათ ვგრძნობთ. და არც ერთს ჩვენს საჩინო მწერალს არ შეუძლია დაიკვეხოს, რომ იმან სრულიად გაათავისუფლა თავისი კალამი ამ ენის ბორკილებიდამ.

1835 წ., იმ დროს, როდესაც ბარათაშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ე. ი. ამ ნახევარ საუკუნის წინად, ძველის მწერლობის გავლენა უფრო ძლიერი იყო. რამდენადაც შემეძლო, მე ვილაპარაკე ამ მწერლობაზე თ. გრ. ორბელაიანის ცხოვრების აღწერაში და რომ ამ საგანზე ორჯერ არ შემხვდეს წერა, ნებას ვითხოვ მოვიყვანო აქ ის ადგილი დიდებულის პოეტის ბიოგრაფიისა. სურათი ეკუთვნის XVIII საუკუნის ბოლოს, იმ დროს, როდესაც დაიბადა გრ. ორბელიანი.

როგორც ძველადგან, ეს მწერლობა და მისგან განუშორებელი საერო განათლება ამ დროსაც ეკკლესიის საფარ ქვეშ იყო მოთავსებული. ერეკლე მეფის დროს საქართველოში დაარსებული სასულიერო სემენარიები თბილისისა და თელავისა იყვნენ ორნი უმაღლესნი სასწავლებელნი სამეფოისა. ამათ მოსდევდენ სამონასტრო და საეკკლესიო შკოლები თბილისისა, ქართლ-კახეთისა, იმერეთისა...

სწავლა-განათლების სასულიერო მიმართულება ახალი არ იყო ჩვენში. ქართველი კაცი დასაბამიდანვე წიგნს იმიტომ სწავლობდა, რომ ლოცვები სცოდნოდა. საეკკლესიო სასწავლებლები ამ მხრით სრულად აკმაყოფილებდა მისს მოთხოვნილებას. მშვენიერის ენით თარგმნილნი: დავითნი, სამოციქულო, სახარება და სხვა წმიდა წიგნები და მათი განმარტება იმისთვის ისტორიაც იყო, კატეხიზმოც, ღვთის-მეტყველებაც. ამ წიგნებისა და სასწავლებლის მეოხებით ქართველმა ათასი წელი შეინახა თავისი სჯული... და ენა. სამრევლო შკოლა ჰყოფდა საეკკლესიო მსახურსაც და სახელმწიფოს სამმართველოდ განმზადებულს პირსაც, მღვდელსაც და სტატს-სეკრეტარსაც. ჩვენი ჰქა პატარა იყო, მაგრამ ამ პატარა ჰქიქითაც ვსვამდით, მიუსსეს თქმისა არ იყოს.

მეთვრამეტე საუკუნეში-კი, დროთა ვითარების წყალობით, ამ სასულიერო განათლებას მოჰყვა სამოქალაქო განათლების მოთხოვნილება. მოთხოვნილებამ საჭირო კაციც დაბადა. ამ კაცს, რომელსაც ძარღვებში რეფორმარტორის სისხლი ედგა, ყველაფერი ხელთ ჰქონდა თავის ჰაზრის განსახორციელებლად: ის იყო დიდად სწავლული და ამან შეძლება მისცა მას თითონ დაეწერა, რაც რამ საჭირო წიგნი იყო შკოლებისთვის; ის იყო მდიდარი და ამან გაუადვილა იმას შრომა და შრომისთვის საჭირო წიგნების შეძენა რუსულს, ლათინურს და ქართულს ენებზე; ის იყო საქართველოს ეკკლესიის თავი და ამან დააჩქარა მისი წიგნებისა და აზრების შეთვისება შკოლებთაგან; ის იყო მეფის ძმა და იმან გაავრცელა მისი წიგნები ქალაქ-ქალაქად და სოფლითი-

---

*) იხ. „ივერია“ № 93.

ხური და მოვალეობა ქვეყნისა და სახელმწიფოს წინაშე.

მეველე

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

განჯის გუბერნატორი იუწყება, რომ მკურნალმა ტერ-გრიგორიანმცა გასინჯა ის ექვსი ავადმყოფი, რომელნიც ხოლერიანი ეგონათ; და კიდევ სხვა 6 ავადმყოფიც. აღმოჩნდა, რომ არც ერთი ხოლერით არა ყოფილა ავად, არამედ მალიარიითა და სტომაქის მოშლით.

## ახალი ამბავი

*** ამ თთვის 9 წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში სწირავს მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, ექზარხოსი ვლადიმერი.

*** გუშინ წინ მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექზარხოსმა ვლადიმერმა სიონის ტაძარში აკურთხა არქიმანდრიტად ინსპექტორი მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სასწავლებლებისა, იღუმენი ლეონიდი, რომელიც დანიშნულ იქმნა კახეთის ხირსის მონასტრის წინამძღვრად.

*** გუშინ ქალაქის მოურავმა გაუგზავნა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ტფილისის მექარხნეების თხოვნა; ვაჭრები სჩივიან, რომ ცისტერნების სიცოტავის გამო რკინის გზით ძალიან ცოტა და გვიან მოდის შავი წავთი (მაზუტი) და ქარხნებში მუშაობა ბრკოლდებაო. ქალაქის მოურავი თავის მხრივ სთხოვს გუბერნატორს, იშუამდგომლეთ, ვისთანაც ჯერ არს, რომ ცისტერნებს მოუმატონ და რაც ამაზე ხარჯი დასჭირდება, ქალაქი კისრულობსო.

*** დღეს ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება სანიტართა. საგანი კრებისა: 1) როგორ უნდა დაათვალიერონ სანიტარებმა კარ-მიდამოები; 2) როგორ განისაზღვროს სასანიტარო საქმე კერძო და ქალაქის მკურნალთა, სავაჭრო პოლიციისა და დეზინფექტორებ შორის და როგორი შემწეობა უნდა აღმოუჩინონ ქალაქის სკოლებს.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება, რომ ქ. ნახიჩევანში ერთი ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა.

*** პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს მარის განზრახვა აქვს ამ ზაფხულს კავკასიაში ჩამოვიდეს და ქალაქ ანის ნანგრევები დაათვალიეროს.

*** ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებელმა დაიწყო მიმოსვლა ტფილისსა და ხაშურს შუა. მატარებელი ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 3 საათზედ.

*** ამ მოკლე ხანში სრულიად გადაწყდება, რომ სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტებს უფლება მიეცეთ პრაქტიკულად შეისწავლონ თავის საგანი და სამკურნალოებში იმეცადინონ.

*** ხმა დადის, რომ მთავრობას განზრახვა აქვს საფთიაქო წამლებით ვაჭრობის მონოპოლია შემოიღოს.

*** რკინის გზების საქმეთა განსახილველად ტ. ს. სალოვის თავმჯდომარეობით დაარსებულმა კომისიამ უკვე შეადგინა პროექტი, რომლის ძალითაც რუსეთის რკინის გზებისთვის შემოღებულ უნდა იქმნას ყველასათვის ერთი და იგივე წესდება. ამ პროექტს შემოდგომაზე განიხილავენ.

*** მოგვყავს სახელი და გვარი იმ ქართველებისა, რომელნიც მოხსენებულნი არიან ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილს ხმოსანთა საკანდიდატო სიაში.

აი მათი სახელი და გვარი: ავალიშვილი, დავით ივანეს ძე (დასახელებულია 75 ამომრჩეველის-მიერ), ანდრონიკაშვილი, იოსებ იაკობის-ძე (5), არდაზიანი, ალ. პავლეს-ძე (9), არჯევანიძე, ნიკო ივანეს-ძე (106), ბაქრაძე, ალ. ივანეს-ძე (563), ბარათაშვილი, დავით ზაალის ძე (6), ბეგლაშვილი, ვას. გერასიმეს ძე (50), ვოდაჩკორი, ნიკ. ისაიას ძე (28), გაბაშვილი, ვას. ილარიონის ძე (43), გათუა, გიორ. კონსტანტინეს ძე (15), გურამიშვილი თ. დავ. ალექსამდრეს ძე (518), დემუროვი, იაგორ ივანეს ძე (8), ზუბალოვი ივ. იაგორას ძე (5), ზუბალოვი, ნიკ. დავითის ძე (228), ემნაძე იაკობ ივანეს ძე (5), ისარლიშვილი, მიხ. პეტრეს ძე (51), ისარლიშვილი, იაკობ პეტრეს ძე (48), ქართველიშვილი, გაბრიელ გაბრიელის ძე (105), ქართველიშვილი, გიორგი დავითის ძე (132), ქიქოძე, ტიტ სიმონის ძე (7), კოლუბანსკი, გიორგი მიხეილის ძე (426), მაღალაშვილი, ისაკ მათეს ძე (5), მამაცაშვილი, ზაქ. იოსების ძე (19), მამაცაშვილი, ლევან კონსტანტინეს ძე (90), მაჩაბელი, მიხეილ ვახტანგის ძე (147), მელიქიშვილი, ივან გრიგოლის ძე (452), მელიქიშვილი, სტეფან მოსეს ძე (10), მიქელაძე, თავ. ვლად. სიმონის ძე (561), ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე (208), ორბელიანი (ჯამბაკური) თავ. გიორგი, ილიას ძე (105), ფავლენიშვილი, თ. დიმ. ალექსანდრეს ძე (104), პაჩკაძე, ივან სიმონის ძე (7), ფერნაძე, სიმონ სფირდონის ძე (20), ფორაქაშვილი, დავით ილარიონის ძე (47) რჩეულიშვილი, გრიგოლ დიმიტრის ძე (79), სავანელი ალ. ივანის ძე (52), საგინაშვილი, ივანე ბესარიონის ძე (6), საყვარელიძე, გაბრიელ ბეჟანის ძე (150), სარაჯიშვილი, დავით ზაქარიას ძე (541), სულხანიშვილი, ალექსანდრე გაბრიელის ძე (12), სუმბათაშვილი, თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე (10), სუმბათაშვილი, თავ. დავით ალექსანდრეს ძე (19), თითრაძე, ნიკოლოზ აბრამის ძე (7), თულაშვილი, ვახტანგ დიმიტრის ძე (13), თულაშვილი, ივანე გაბრიელის ძე (15), თუმანიშვილი, თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (44), უთნელიშვილი, ივანე დავითის ძე (90), ხელაძე, ექვთიმე ივანეს ძე (11), ხერხეულიძე, თავ. ზაქარია დავითის ძე (100), ხუდადოვი, ნიკ. ალექსანდრეს ძე (547), წერეთელი, გიორგი ექვთიმეს ძე (520), ციციშვილი, თავ. გიორგი სარიდანის ძე (52), ცხვედაძე, ნიკოლოზ ზებედეს ძე (120), ჭავჭავაძე, თავ. ილია გრიგოლის ძე (157), ჩოლოყაშვილი ალექსანდრე ზაალის ძე (543), ჩივაძე, კონსტანტინე ანდრიას ძე (62), ერისთავი თავ. ზაქარია გიორგის ძე (8). ქალაქის გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულ პირთ, ვისაც სურს ამორჩეულ იქმნეს საბჭოს ხმოსნად, ქალაქის მოურავს მიჰმართოს თხოვნით 11 მაისამდე.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ სოფელ ხაშმში გააშენეს საზოგადო ვენახი. ეხლა ხაშმის საზოგადოება სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, ნება გვიბოძეთ, სახელმწიფო ბანკიდგან გამოვიტანოთ საზოგადოების ფული ასი თუმანი და ამ საზოგადო ვენახისთვის ვიყიდოთ ხაშმში კნ. ნატალია ჯანდიერისა და ელენე ელიოსიძის მამულიო.

*** ზოყი-შლომისლი: კალიამ, ეს ორი კვირა მეტი იქნება, თავი იჩინა აქეთა მხარეს; მაზრის ადმინისტრაცია ფიცხლავ შეუდგა კალიის ხოცვას; ხალხი ბლომად გაიწვია, მაგრამ განა შეიძლებს მის გაწყვეტას, როდესაც მთელ მაზრაშია მოდებული? ამბობენ, კალია შარშანდელზედ წელს უფრო ბლომად არისო! უბედურება კიდევ ის არის, რომ ზოგიერთ ადგილს შიგ ნათესში გაცოცხლებულა კალია. ამ ნაირ ნათესებს ათიბინებენ.

პირველ მაისიდგან შესდგა ორის თთვით პირველ „ვატაგებზედ“—სალიანამდე თევზის ჭერა. სალიანბალდანოვსკაში ნება ექნებათ ჭერისა მხოლოდ 15 მაისამდე და ზემოდ მდებარე ვაგატებს—თიბათვის გასვლამდე.

*** გუშინ, დილის 6 საათზედ, თავის მოკვლა განიზრახა და რევოლვერი დაიცა ყელში მთავარ მართებლის კარის კაცმა იაგორ პრიტულინმა და ძლიერ მძიმედ დაშავებულა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ სასამართლომ პრიტულინს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და $1^1/_2$ წლით სამუშაო როტებში გაგზავნა გადუწყვიტა.

*** 6 მაისს დიდმა ნიაღვარმა გერმანელსასაფლაოდამ მოტაცებული 27 რქიანი საქონელი გამორიყა დიდუბის მინდორზე.

*** ამავე დღეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები კონსტანტინე კაკაური წაეჩხუბა ქუთაისისავე გუბერნიის მცხოვრებს ფარნაოზ მელქაძეს და ხანჯლით მსუბუქად დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. რუისი.** ხომ ახირებული ზამთარი იყო წრეულ ჩვენში თავის არა ჩვეულებრივის ყინვებით და გაზაფხულიც ნაკლები არ გახლავთ. აგერ მაისი დადგა და ჯეჯილი დედამიწას არ ასცილებია, ბალახი გაწყვა, არსადა სჩანს. ჯერ იმ თავითვე თეთრი ფრინველმა და თაგვმა გაზიდა, და ახლაც ასეთი დარები დაუდგა. ერთთავად შეხედავთ ცხელა შუადღემდინ, ამოვარდება მერმე ქარი და ადამიანი, თუ არ ზამთრის ტანისამოსში, ისე ვერ გამოვა. აი ამ სიცივეებმა და უწვიმობამ შეუშალეს ხელი ნათესს და ვინ იცის, როგორი მოსავალი მოგვივა. უბალახობამ საქონელიც ძრიელ გალახა, მაინც, თუ არ ისევ შინაური საჭმელი, რა აცოცხლებთ!.. მაგრამ, ვაი, რომ ზოგს ეს საჭმელიც გამოელია და სასყიდლადაც ვერა შოულობს.

ღვთით, 1 მაისს მოვიდა წვიმა, მაგრამ სამაგიეროდ, ახლა სითბოს მოვაკლდით, აღმოსავლეთის ქარის წყალობით, რომელიც აქ განუწყვეტლივა ჰქრის.

როგორც ამ წინაზედაც გწერდით, აქ ვაზი წახდა, მაგრამ ნაკლებად გვეგონა ჩვენ ზარალი, ეხლაკი, როცა ძალზე გამოიტანა კვირტი, დაეტყო, რომ ბევრი ასაჩეხი გახდა,

---

თი-სოფლად, ყოველს ოჯახში, საცა ქართული იწერებოდა და იკითხებოდა. საზოგადო განათლების პროგრამმა ამ დროს ითხოვდა რუსეთში და ცოტა რუსეთს გარეშეც ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, ლოღიკას, ფსიხოლოგიას, ისტორიას, ფიზიკას. რომ ჩვენს ქვეყანაშიაც შემოეღო საზოგადო განათლება და ჩვენის ერის გონებით მოძრაობისათვის ერთი ნაბიჯი წაედგმევინებინა წინ, ანტონ კათალიკოზმა—თქვენ, რასაკვირველია, მიხვდით, რომ სჯა იმაზე არის — ნახევარის საუკუნის დაუცხრომელის შრომით და ღვაწლით შეადგინა ქართულს ენაზე: წყობილ-სიტყაობა, ე. ი. გალექსული ბიოგრაფია ჩვენის ქვეყნის ისტორიულთა პირთა და მწერალთა, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამმატიკა, ლოღიკა, მეტაფიზიკა, ფიზიკა, კატეხიზმო და სხვა სასულიერო წიგნები. ჩვენს მონასტრებს და ეკკლესიებს, ე. ი. ჩვენს სასწავლებლებს სასიქადულოდ მიაჩნდათ მეფის ძმის და ეკკლესიის უფალის ანტონ კათალიკოზის წიგნებით სწავლება სხვადა-სხვა მეცნიერებისა. შკოლებიდამ წიგნები ვრცელდებოდა საქართველოში და ამ წიგნებთან იმათის დამწერის გავლენაც. თვის სიცოცხლის უკანასკნელი 25 წელიწადი, რომლის განმავლობაში ანტონი, რუსეთით ჩამოსული, ხელ-ახლა კათალიკოზობდა საქართველოში, ის იყო სწორედ მეფედ საქართველოს გონებისა და ზრახვისა.

დიდი კეთილი უნდა დაჰყროდა ჩვენს ქვეყანას იმის სიუხვისაგან, ერთს გარემოებას რომ არ დაებრკოლებინა საქმე. კათალიკოზს ენა არ შეხვდა ამ მეცნიერებათათვის სამყოფი. სულ ყველა მისი ჰაზრები, მაღალი ფილოსოფიური ჰაზრები, რაღაც გვარ ნისლ-ღრუბელში არის შეხვეული, რომელიც უშლის კაცს საგნების კარგად დანახვას. აიღეთ, რომელიც გინდათ, მისი ფილოსოფიური თხზულება, თუნდ „სპეკალი“, მაგალითად, გადაშალეთ პირველივე გვერდი, წაიკითხეთ პირველი სტრიქონები და ძითხარით, თუ ბევრი გაიგეთ შიგ. აი ეს სტრიქონებიც, თუ გინდათ:

„აზიარა სადამე სახელითა აობამან ყოველნი მყოფნი ორად სადამე ნამდვილ მყოფისა და ზედ-შემოსრულისა მართ განკვეთითა ამის უაღრესისა მყოფისათვის თქვა არისტოტელი საქმე არსო თვით მყოფი არავისდამი მოქენე“.

ახლა ამავე წიგნში წაიკითხეთ ამავე წიგნის წინასიტყვაობა ტიმოთე მიტროპოლიტისა:

„რაბამად იგალობებოდეთ უმიზეზო მიზეზი მიზეზ-ყანისა, რომლისათვის ხმოვანება სიტყვათა არს ჩუნი უოცნოსა მის გვარისადმი უგვაროჲსა და უსაბამოსათვის წინაგან სიტყვა ფილოსოფოსთა და კვალად ატტიკელებრივი დალექსვა ძნიადობენ მეებნეობა და რიტორთა ახზვა წინა უკმო *)

საკვირველი და სამწუხარო აქ ის არის, რომ ანტონ კათალიკოზი იმ შემთხვევაშიაც, როცა შეეძლო კარგათ წერა, განზრახ გაუგებლად სწერდა. ქართულს ენას, იმის სწავლით, სამგვარი კილო უნდა ჰქონოდა: ეკკლესიური (ეს იყო მაღალის ხარისხის სიტყვიერება) დარბაისლური და გლეხური ან დაშვებითი. ამათგან: მისგან დაწერილს სამოქალაქო წიგნებს უფრო შვენოდა დარბაისლური, ე. ი. მუდამ თავდაჭერილი, მუდამ მორთულ-მოკაზმული, შეხამებული ენა. ყოველი ცოცხალი სიტყვა, ყოველი შინ საზმარი ლექსი უნდა გაშორებოდა სამოქალაქო მწერლობას. ეს მდაბიო ენა იყო, რომელშიაც ნამდვილი მწერალი ენას და კალამს არ გაისვრიდა. გაიგებდა თუ არა მკითხველი მწერლის ჰაზრს, ან თითონ მწერალს ესმოდა რამე იმიდამ, რასაც სწერდა, თუ არა, —ამას ვინ დასდევდა. სულ ყველა კატეგორიებს, რიტორიკებს, მეტაფიზიკას, ლოღიკას გაჰქონდათ ერთი გამოულეველი რახა-რუხი სიტყვებისა და ქართველის ყური სულ ყველაფერს ისმენდა მოთმინებით და მორჩილებით. იოანე ბატონიშვილსავით „მშვიდობა შენდა“ და „და სულისაცა შენისათანა“-ს თუ ეტყოდნენ ერთმანერთს ნაცვლად გამარჯვება გაგიმარჯოსი, თავი დიდად სწავლულად და ბედნიერად მიაჩნდათ. და ყოვლისფერი კარგათ იყო ამ ყოვლისფრით საუკეთესო საქართველოში.

. . . . . . . . . . .

არ ვიცი ძველის მწერლობის გარემოება და ვერ ვიტყვი, რისგან მოხდა ამ მშვენიერის ენის დაპნელება, რომელიც ანდამანტსავით ბრწყინავს დავითნ-სახარებაში ჴ ვის-რამიან-ვეფხის ტყაოსანში,—უცხოენათა წყალობაა, უეჭველია. მაგრამ ის-კი ცხადია ჩემთვის, რომ ჩვენის ძველების გონეპა გარჩევით ვერას ხედავდა ქართულს ენაში. მეფე გიორგი, რომელსაც თვით ბიძა მისი ანტონ კათალიკოზი უკითხავდა, მემკვიდრეობის დროს, თავის ფილოსოფიას, ენერგიულად იტყოდა: „არა მესმის ესე; ვნაყავ წყალსა“. ღმერთო, შეგცოდე და, მგონია, ამ მეფეს მთელი მისი სამეფო ეხმარებოდა წყლის ნაყვაში.

იმ საუკუნის ბოლოს საქართველოს პოლიტიკური ბედი რომ არ შეცვლილიყო, ანტონ კათალიკოზის მეტაფიზიკისა და ენის მეფობა დიდხანს გასტანდა და სულთა მხუთავი უაზრო რახარუხი სიტყვებისა დიდხანს დააგვიანებდა სანათურის და ჰაერის შეტანას ქართველის გონებაში. მაგრამ დრონი იცვალენ და ანტონის ფილოსოფიამ გზა მისცა ახალს ცხოვრების მოთხოვნილებას. ახალმა ცხოვრებამ ახალი მწერლობა დაბადა.

ეს მწერლობა ერთბაშათ არ მოსულა. ამ საუკუნის დასაწყისს ქართველის კაცის გონება სულ სხვა საგანს დასტრიალებდა თავზე, ვიდრე მწერლობას. პოლიტიკური და საზოგადო კითხვები სრულიად ისაკუთრებდენ ამ დროს ქართველობის ყურადღებას. მწერლობა იდგა შორს,

*) სპეკალი, თხზ. ანტ. კათ., გვერდი 1.

აგრეთვე ბაბილოებიც სულ მტკნარათ დახმნენ.

ნათესი წრეულ აქ უფრო ბარისა ივარგებს, რადგან მათი მორწყვა შეიძლებოდა, მთის ჯეჯილები-კი ისევ მიწაზეა გატკეპნილი.

აქ ორი დიდი არხია გამოყვანილი ლიახვიდან, რომლის წყლითაც ირწყვის ჩვენი მინდვრები. ეს არხები დახევებულები იყო ხოლმე და უხეირო, ისე რომ საკმარისი წყალი ვერ გამოდიოდა. ეხლა-კი ჩვენის მამასახლისის მეცადინეობით, ეს არხები ჯეროვანად გაკეთდა, გაფართოვდა და წყალი მოჭარბებული მოდის. თუმცა ბევრათ დაუჯდათ იმისი გაკეთება, თუ ნაპირების გაგანიერებით, თუ რამდენისამე დღით გუთნისა და მუშაობის მოცდენით, მაგრამ არც-კი არავინ რათ აგდებს ამას, რახან ჩვენ რუში წყალი კარგად გვექნება, რაც უნდა იყოს.

მაისის პირველიდან აქ გამმიჯვნელთა კომისია მოვიდა, რომელმაც უნდა განაგრძოს შარშანდელი მუშაობა. ხალხი ბლომად დასდევს მიწის მზომელს და დიდი დავაა მამულების მფლობელობაზე. ვინ ვის არ უცხადებს დავას. აქვე სამუდამოდ დადგა აქციზის მოხელე.

ამ ცოტა ხანში აქ იყვნენ მაზრის ექიმი ფერშლითურთ, ასენიზაციის და დეზინფექციის მოსახდენად. ხალხს ეგრე აღარ ეშინიან ხოლერისა.

მართლა, ამ ხოლერამ გაგვახსენა, შარშან აქ, როცა დეზინფექციას ახდენდნენ გლეხები, აძლევდნენ ლოგინსაც დასაწვავად, ვის სახლშიაც ხოლერა იდგა. მამასახლისს სია ჰქონდა შედგენილი ამ გვარებისა და ჰფიქრობდა შემწეობას მისცემდა ვინმე, მაგრამ, როდის სია იყო წარდგენილი, აქამდის არა სჩანს-რა. ზოგს-კი ისეთს საწყალს დაუწვეს ლოგინი, რომელსაც იმის მეტი არა გააჩნდარა.

ჩვენში კანტი-კუნტად წითელა არის.

ჰ. ფ.

---

## წერილი კახეთიდამ.

სხვა დროს, როცა გლეხს საკმაო საზრდო ჰქონდა, გაზაფხულობით ჯერ თავის სამუშაოს შეასრულებდა, თავის პატარა ვენახს შეიმუშავებდა, ბარვით, შესარვით, თოხნით, შეყელვით კოპწია პატარძალივით მორთავდა და, თუ დრო გადარჩებოდა, სხვას უშველიდა. თუ ორი და მეტი მუშა მოიპოვებოდა სახლში, მაშინ შინაურ საქმისათვის საჭირონი დარჩებოდნენ ოჯახში და მეტნი გავიდოდნენ გარედ სამუშაოდ, ისიც თუ კარგ ფასს მისცემდნენ, თუ არა, შინ იყვნენ. თუ შინაური საქმე გაუთავებელი ჰქონდა, ძნელად დაითანხმებდა კაცი გარედ სამუშაოდ, თუნდა ერთი-ორად გეძლევინათ სამუშაო ფასი. ეს იყო მიზეზი, რომ ყველაფრიდამ დაწყობილი სამუშაო ფასი თან-და-თან მატულობდა და აპრილში 50—70 კაპ. შორის თამაშობდა. ეს გარემოება მეტად ათვალწუნებული ჰქონდათ იმ მემამულეთა, რომელთაც ნაღდი ფული უნდა ეძლივნათ სამუშაოდ. ესენი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ საწყალი, მაგრამ სარჩოიანი გლეხი ამ, მათის აზრით, სულელურ გზიდამ გადაეყენებინათ და დაეთანხმებინათ, რომ დღეში აბაზად და ხუთ შაურად ემუშავნა. მაგრამ მომეტებულ შემთხვევაში მათი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა.

— ნათლიმამ, ეუბნებოდა პატივცემული და სოფელში დიდი გავლენიანი მოქალაქე: კაცო, მაგ შენს ბუდრუგანა ვენახს შარშან რას გამორჩი, რომ წელსაც მთელს სამუშაო დროს მაგას ანდომებ? გარედ რომ გახვიდე სამუშაოდ, რასაც შენ ორ კვირას აიღებ, იმის ფასი მანდ მოგივა და შენ-კი აგერ ორი თითვე მუშაობ შიგა. აბა, იფიქრე, რა მოგება გაქვს!

— განა მე არ ვიცი, ნათლი, რომ ჩემს ვენახს ბერი არა გამოვა-რა. მაგრამ გაუკეთებელს ხომ ვერ დავაგდებ. ვინ რას იტყვის? ხალხში რა პირით გავიდე? ქუდი როგორ-ღა დავიხურო? ერთი ორი დღით ჩემ ცოლშვილს ხომ გაახარებს და ჩემს მტერსა და მოყვარეს ორჯელ მაინც დაათრობს.

ბევრჯელ ვყოფილვარ მოწმე, რომ სამუშაო ფასზედ ვერ მორიგებულან, გლეხს თავზედ ქუდი მოუმარჯვებია და სიტყვებით: „წავალ, ისევ შინ ვიცოდვილებ. თუნდა ცუდათაც დავრჩე, ის მირჩევნია, აბაზად და ხუთშაურად მუშაობასაო“, გაბრუნებულა შინისაკენ. ამისთანა სიტყვებით მოთმინებიდგან გამოსული მემამულე გაიძახოდა: „გლეხს მუდამ უნდა აკლდეს, მადლი იმასა აქვს, ჭკუას ის ასწავლის, მინამ კოდში ფქვილი უყრია, იმასთან ვერას გაარიგებ.“ ასე იყო გაგულისებული ყველა მამულის პატრონი, მანამ გლეხს სარჩო საკმაოდ მოსდიოდა.

ასეთის შეხედულებისანი იყვნენ და არიან ყველანი განურჩევლად წოდებისა და გვაროვნობისა, ზოგიერთნი განათლებულნიც და თვით ის გლეხნიც, რომელთაც მეტი მამული აქვთ, ვიდრე შემუშავება შეუძლიანთ. ამისთანა გლეხთა რიცხვი 10—12% შეადგენს საზოგადო გლეხთა რიცხვისას თვითეულს სოფელში. განათლებულსაც და გაუნათლებელსაც ყოველს ამ შემთხვევაში ერთი საბუთი ჰქონდათ და იგი მიაჩნდათ დაურღვევლად. აი, ის საბუთი: «შინ ცუდათ ჯდომას და თავის პურის ჭამას, არა სჯობია, ერთი აბაზიც იშოვნოს და სხვისი პური ჭამოს!»

ახლა დრო გამოიცვალა. ზემორე აღნიშნულს მემამულეთა სანატრელი დრო დადგა. ესენი გამარჯვებულნი გაიძახიან: „მეეცათ, ჭკვა ისწავლონ, განა ეგენი შესაბრალისნი არიან? მაშ რა ეგონათ, წელიწადში რვაცხრა თუმანს რომ გაიძახცენენ და დღეში სამ აბაზსა?“ ამათ რომ ჰკითხოთ სოფლის გარემოება, გიპასუხებენ: „ჩვენ სოფელში ვინა ქმნა სიმშილი? ეგ მოგონილი ამბავია. ვინც მცონარაა და ზარმაცი, იმას აკლია. მცონარებს როდის არა ჰკლებიათ სარჩო, რომ ეხლა არ აკლდეთ?“ ამათგან სწორედ იმ სიტყვებს გაიგონებთ, რასაც ზოგიერთი გაზეთი ჰქადაგებდა რუსეთში სიმშილობის დროსა.

შიმშილი და გაჭირვება კახეთში ნამდვილი ამბავია და არა მოგონილი.

სიმშილისაგან შეწუხებულს გლეხკაცს თავი დაუნებებია ყველა შინაურ სამუშაოსათვის, დაიარება კარიკარს, კითხულობს: „მუშა ვის გინდათო?“ შეიხედეთ სოფლებში და იქა ჰნახავთ, რომ მომეტებული ვენახები შესასარია, გაუსხლავიც, დაუბარავი,—ერთის სიტყვით გაოხრებულია.

ნადიკვრელი

---

## გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი

№ 16. „ქ. ესე წიგნი მოგართვი მე ნახუცრიშვილმა ზურაბ თქვენ ნეკრესელ ეპისკოპოზს იოანეს ასე, რომ დავით გარეჯის სასახლე იყო ქალაქში და იმაში ისახ-ბეგ ბატონიშვილი ნაიბი იდგა, ის ვეღარ გამოიყვანეს სასახლიდამ და იმის სამუქმოდ ბატონმა (თეიმურაზ. იხ. წი-) ნა N 15 გუჯარი.) სხვაგან სტამბაში სასახლე გიბოძა. იქ მე სახლი ამეშენებინა და ხარჯი მექნა; იმ სახლებისა ხარჯზედ გელაპარაკე, რაც მართებული სამართლიანის საქმით რიგი იყო გავრიგდით; თქვენსა და ჩემში სალაპარაკო არა დარჩა-რა; ჩემი მე მომებარა. არის ამისას მოწამე ტფილელი ათანასი [ათანასი] და გამრიგებელიცა. და მე იოანე მღვდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თებერვლის კზ. ჩღნა წ. (=1751 წ.). მე ზურაბს ამ წერილზედ ყაბული მაქვს“.

ისაყ-ბეგი ბატონიშვილი ერთგულია ირაკლი მეფისა და ფანახანთან ომის დროს თან ახლავს ბარგუშათში (ყარაბაღში, აწინდელი შუშას მაზრა), არაქსის ნაპირებზედ 1748—1750 წლებში. გამარჯვებულმა ირაკლი მეფემ ათი ათასი თუმანი შეაწერა განჯის საბეგლარ-ბეგოს ყარაბაღიანად და ამ ფულის ასაღებად ირაკლი ჰგზავნის სხ. შორის ამ ისაყ-ბეგს. ირაკლი ტფილისში შემოვიდა 16 აპრილს 1750 წ. დიდის დიდებით. აქ ისაყ ბეგმა ირაკლის ერთგულების დასამტკიცებლად მიიღო ქრისტიანობა ორის შვილით. სახელად უწოდეს ალექსანდრე, მის შვილებს—იოანე და სოლომონ. ნათლიებად თვით მეფენი იყვნენ. ისაყ-ბეგი, ჩვენის აზრით, შვილია ბედის ამაოდ მცდელის ბატონიშვილის აბდულ-ბეგისა, აღასის მომდევნო (იხ. ქ-ცხ. 427, 428 გვ.). ისაყ-ბეგი დროებით დაასადგურეს დავით-გარეჯის მეტოქში, სადაც მასპინძლობა მოინდომა, როგორც ჰხედავთ. მეფე თეიმურაზმა არ აწყევინა თავის ნათლულს და დავით გარეჯელებს სხვა სახლი უბოძა იქვე მახლობლად, იქ, სადაც ეხლა სახელოსნო სასწავლებელია (სინოდის კანტორას ქვემოდამ გვერდით) მტკვრის პირად (ეხლანდელი თ. შალიკაშვილის სახლიანად იყო სასახლე მეფე ვახტანგ VI-სა. ამის ქვემოდ იყო სტამბა ნათლის-მცემლის ეკკლესიის შენობამდე (ეხლა საკანტორო სახლია).

ცხვილოელი

---

## უცხოეთი

**გერმანია.** ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილია იმპერატორის ვილჰელმის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ტემპელპოშის აღლუმის დროს. იმპერატორმა უთხრა გენერლებსა და აფიცრებს: მას შემდეგ, რაც ჩვენ უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი, ცოტაოდნად შეიცვალა. ბედი სამხედრო კანონ-პროექტისა. არაოდეს ფიქრად არ მომივიდოდა, რომ ეს კანონ-პროექტი შეწყნარებული არ იქმნებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, უმცირესმა ნაწილმა პატრიოტებისამ ვერა გააწყო-რა უმრავლესობის წინააღმდეგ. ამასთანავე წარმოითქვა ისეთი სიტყვები, რომლის წარმოთქმაც მიღებული არ უნდა იყვეს განათლებულ ხალხში. ამიტომ იძულებული, ვიქმენ რეიხსტაგი დამეთხოვნა და ეხლა ახალ რეიხსტაგისაგან მოველი კანონის შეწყნარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამ იმედმაც მიმტყუნა, გადაწყვეტილი მაქვს, ყოველი საშუალება ვიღონო კანონ-პროექტის დასამტკიცებლად, რადგანაც სრულიად დარწმუნებული ვარ კა-

---

ძლიერ შორს, სადღაც მეათე, მეთორმეტე პლანზე. ეს ღვთის წყალობა ქართული ენა ხელთ გვქონდა კავშირად და სახსოვრად ძველის დროებისა, მაგრამ მწერლობაზე ფიქრს სჩაგრავდა სხვა უფრო მწვავი ცხოვრების კითხვები.

ამ გვარი ჩამოქვეითება სასულიერო ინტერესებისა, რასაკვირველია, ცუდად მოქმედებდა მწერლობის წარმატებაზე. არამც თუ ახალ მწერლობის გამოჩენა რჩებოდა შეუმჩნევლად საზოგადოებაში, თვით მწერლობა მიფარებული იყო თვალთაგან. ამის მიზეზი, პოლიტიკურს გარემოებას გარდა, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ჩვენს ცხოვრებას აკლდა სტამბა, რომლის გარეშე არავითარი სასულიერო წარმატება არ არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში. ვახტანგ მეფის სტამბა აღამაჰმადხანმა დასწვა; იოსებ სამებელის სტამბა, სტამბა ბაქარისა, საჩხერეს სტამბა, ქრისტესია მღვდლის ბადრიძის სტამბა ან სულ ერთიანად გაუქმდნენ, ან თუ იმათგან გადარჩენილი ასოებით კიდევ რასმე ბეჭდავდენ, ეს იყო ან სამღვთო წიგნები, ან ისეთნი, რომელთაც თანამედროვე მწერლობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. შილლერი რომ დაბადებოდა ამ დროს საქართველოს, იმასაც უბით უნდა ეტარებინა თავისი ნაწერები და მომავალის დროისთვის შეევედრა თვისი დიდი იმედები...

გარნა ციციანოვისგან დაფუძნებულმა სასწავლებელმა და ახალის—რუსულის მწერლობის გაცნობამ ცოტ-ცოტად განათავისუფლეს ქართველთა მოზარდ თაობის გონება საეკკლესიო მეცნიერების მონობიდამ და გზა მიუგნებელ ენა-ფილოსოფიიდამ.. დამკვიდრდა მის ნაცვლად სუფევა ყოველთათვის გასაგების უბრალო ქართულის ფრაზისა...

ამ სამწერლო რევოლიუციის მოთავენი არიან ის პირნი, რომელთაც პირველად შეასრულეს სწავლა თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში. ამათ რიცხვში თავი და პირველი ადგილი უჭირავს თ. გრიგოლ ორბელიანს.

ბარათაშვილი ორბელიანის პირველ-წოდებული მოწაფე იყო. როდესაც ეს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ქართულ საზოგადოებაში ოციოდე საუკეთესო ლექსები ტრიალებდა „სადღეგრძელოს“ შემოქმედისა. ახალი ლირიული მოძრაობა ქართულის პოეზიისა, მაშასადამე, ამ დროს დაწყებული იყო დიდის ხნით. როგორც ყოველმა ახლად დამწყებმა მწერალმა, ბარათაშვილმაც დედანად და ნიმუშად თვისის მწერლობისა აირჩია ის, რაც საუკეთესო იყო თანამედროვე მწერლობაში, ე. ი. მწერლობა გრ. ორბელიანისა. ენით, გამოთქმით, პოეტიურის მოტივებით, მსჯელობით, ლექსში თუ პროზაში, ბარათაშვილი შეიქნა ხორცი ხორცთა მისთაგანი და ძვალი ძვალთა მისთაგანი, როგორც ის იყო სისხლით და ხორცით მისი ნათესავი. არც ერთი ლექსი არ დაუწერია ბარათაშვილს, რომ არ გაეგზავნოს ბიძა მისისთვის და რჩევა არ ეკითხოს მის სიკარგეზე; არც ერთი ლექსი არ დაუწერია ბიძა მისსაც, რომ ამას ზეპირად არ დაესწავლოს. „არ ვიცი, ეს ლექსი როგორ მოგეწონება“ —სწერს ის „ჩემს მერანის“ გაგზავნაზე; ჩემი ახალი ლექსი ეს არის, სწერს იგი „სულო-ბოროტოზე“; „ფანტაზიაზე“ ეტყვის: ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავსწერე, რომელსაც ამასთანვე გიგზავნი. შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა“. იმ ოთხ ხუთ წერილში, რომელიც გადარჩომია ყოვლის შემწირველს დროებას, ერთს ადგილში ისა სწერს გრიგოლს ორბელიანს: «კოჯრის ნიავის ქრიალზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით. მაშინ მომაგონდა:

> განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა
> კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს.

ორბელიანს გარდა, იყვნენ სხვა მწძრლებიც, რომელთაც ეკავათ სამწერლო ურდო ამ დროებისა. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ალ. ჭავჭავაძეს, რომლის ლექსებს უფრო იმღერიდნენ, ვიდრე კითხულობდენ, რომლის პოეზიას სიშნოს და მიმზიდულობას უმატებდა მისი მშვენიერი ქალიშვილების სიმღერა. არც ერთი ტიპოგრაფია ქვეყანაზე ვერ გაავრცელებდა მისს ლექსებს ისე, როგორც ამათი მშვენიერი ტუჩ-ბაგე. იკითხებოდნენ იმ დროს ეგრეთვე დავით მაჩაბლის ლექსები, საიათნავას ლექსები, გაბაშვილის ლექსები, მაგრამ, როგორც დრომ დაამტკიცა, არც ერთს ამათგანს არ ჰქონდა მომავალი, რადგან არც ერთს არ ედგა ცოცხალი სული, წრფელი და მარტივი გრძნობა. ესენი მხოლოდ ატკბობდენ მისთა თანამედროეთ ყურს და არა გრძნობა-გონებას. თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე გარდავიდა ქართულ მწერლობიდამ უშკოლოდ. იმას არც არა მიმდევარი დარჩენია თვის შემდეგ, არც არა შკოლა. თავი რომ მოვუყაროთ ყველა ჩვენგან ზემოთ ნათქვამ გარემოებათ, ჩვენ დავინახავთ ერთად ყველა იმ პირობათ, რომელთაც ხელი შეუწყეს ბარათაშვილის წარმატებას, ესენი იყვნენ: კარგი ქართული ენა დავითნ-სახარებისა და ვეფხის-ტყაოსნისა, რომელიც ბარათაშვილმა ისწავლა პატარაობასვე; ახალი გარდამავალი დრო, რომელიც შობს და ასაზრდოებს ახალსა ჰაზრსა და კაცსა; ალ. ჭავჭავაძისა და მისებრი პოეზია, რომელიც ერთი ნაბიჯი იყო წინ მწერლობაში შემდეგ საუკუნოების უნაყოფობისა, და, დასასრულ და განსაკუთრებით, მწერლობა და ნათესაობა თ. გრ. ორბელიანისა, რომელიც იყო და არის მამათ-მთავარი ახალის ლირიულის მოძრაობისა ქართულს მწერლობაში.

ბარათაშვილის ნაწერის გარჩევა დაგვანახვებს, რა გვარად ისარგებლა ამ კაცმა ყველა ამ გარემოებით.

ი. მეუნარგია

(შემდეგი იქნება)

ნონ-პროექტის აუცილებელ საჭიროებაში, ყველა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის დასაცველად. ამბობენ: ხალხი ძლიერ აღელვებულიაო; არა მგონია, რომ გერმანიის ერმა უფლება მისცეს წაქეზებისა ისეთს კაცებს, რომელთაც არავითარი უფლება არა აქვთ ამ საქმეში გარევისა. პირ-იქით, ჩემის აზრით, კანონ-პროექტის საჭიროებაში ერთადა ვართ დარწმუნებულნი: მე, მოკავშირე სახელმწიფოთა მეფეები, ჩვენი ერი და ჯარი. გმადლობთ, ბატონებო. ამ ჟამად მსურდა კანონ-პროექტის შესახებ ჩემი აზრი თქვენთვის გამეზიარებინა, როგორც მოვიქეცი მაშინაც, როცა კანონ-პროექტი დაიბადა.

**ინგლისი.** 8 მაისს ქვემო პალატამ დაიწყო განხილვა ჰომრულის ბილლისა. ჩემბერლენმა ითხოვა, ჯერ ჰომრულის 1 მუხლს ნუ განვიხილავთო და თანაც დასძინა, რომ, თუ მთავრობა ამაზედ დასთანხმდა, მაშინ ვითხოვ, რომ პირველი 8 მუხლი ბილლისა ჯერ არ განიხილოს და პირდაპირ მეცხრე მუხლის განხილვას შევუდგეთო. გლადსტონმა უპასუხა: ეგ თხოვნა უსაბუთოა, რადგანაც საჭიროა, ჯერ შევიტყოთ, მიუნიჭებია თუ არა ირლანდიას თვითმმართველობა და შემდეგ ამ თვითმმართველობაზედ ვილაპარაკოთო. ჩემბერლენის წინადადება პალატამ უარ-ჰყო 270 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 213 ხმისა. შემდეგ პალატა შეუდგა ბილლის 1 მუხლის განხილვას და დაამტკიცა კიდეც. ჩერჩილმა პროტესტი განაცხადა, მთავრობა უკანონო ღონისძიებასა ხმარობს ბილლის დასამტკიცებლად და კამათობის ნებას არ გვაძლევსო. პალატამ, 367 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 265-ისა, უარ-ჰყო ჩერჩილის პროტესტი. ამ გვარად ოპოზიციის ცდამ ამაოდ ჩაიარა და ბოლოს 102 ხმის უმეტესობითაც-კი დაამარცხა. აშკარაა, რომ ჰომრულის ზოგიერთნი წინაალმდეგნი იმდენად პირუთვნელნი ყოფილან და იმდენად სწყენიათ უმართებულო ქცევა ოპოზიციის მეთაურთა, რომ მათ სასარგებლოდ თეთრი კენჭი არ ჩაუგდიათ.

## წვრილი ამბავი

ამას წინად ბრიტანიის კოლუმბიაში საკანონ-მდებლო საკრებულოს ერთმა წევრმა წარმოსთქვა სიტყვა და სრულ თოთხმეტ საათს ილაპარაკა. საკრებულოს უნდა შეემუშავებინა ის კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ნახევარზედ მეტს ადგილობრივ მცხოვრებთ ხელიდგან გამოეცლებოდა ადგილ-მამული. აი ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა ორატორმა. საღამოს ათს საათიდგან ღამის 1 საათამდე მხოლოდ წინასიტყვაობას მოუნდა და მხოლოდ მერე დაიწყო თვით საგანზედ ლაპარაკი. ორი საათი იყო, როდესაც ორატორმა სთქვა: „მეორე ის რომ...“ ამ სიტყვაზედ ამოიდგა ყიჟინი სხვა-და-სხვა ხმებით ქადაგება და ახლა ამისი კითხვა დაიწყო. პარლამენტის წევრებმა აჭვა აიღეს, სწორედ ეს ჩუ დაუძლეს ალაპარაკება და ეს კანონ-პროექტი გამოუწყვეტელი დაგრჩებაო. მართლაც რომ ასე მოხდა: ორატორი ალხენად კათხულობდა ქაღალდებს. პარლამენტის წევრთ მოინდომეს ძალით დაჩუმება, დაიწყეს ყვირილი და ხმაურობა. მაგრამ ორატორი თავისას არ იშლიდა. პარლამენტის წევრნიც დაემორჩილნენ ბედსა, რადგანაც კანონის ძალით კრების მეორე დღის შუადღემდე შეწყვეტა არ შეიძლებოდა. გათენდა კიდეც, ორატორი ისევ ლაპარაკობდა. აგერ შესრულდა თორმეტი საათი და კრებაც უნდა დაშლილიყო. მხოლოდ ესლა დაასრულა მჭევრმეტყველმა ორატორმა თავისი სიტყვა. კანონ-პროექტი დაუმტკიცებელი დარჩა.

— სინაის მთაზედ ამ ცოტა ხანში უპოვნიათ ასურელთა ხელნაწერი სახარება. კემბრიჯის პროფესორი გარრისონი იუწყება, რომ ეს სახარება აღმოაჩინეს ქ-ნმა ლიუსამ და გიბსონმაო, რომელთაც მშვენივრად იციან აღმოსავლეთის ენებიო. სულ 400 გვერდი ყოფილა. ამ ამბის გამო პროფესორი გარრისონი გაემგზავრა სინაის მთაზედ, ორმოცი დღე დარჩა იქა და ფოტოგრაფიით გადაიღო ეს ხელნაწერი სახარება. აქამდე მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად იყო ასურელთა სახარების ტექსტი, რომელიც ლონდონის მუზეუმში ინახება.

# დეპეშა

5 მაისი

**პარიჟი.** რამდენიმე კაცი დააპატიმრეს იმის გამო, რომ ცნობა მოვიდა, ვითომც ამერიკაში განზრახვა ჰქონიათ ჩიკაგოს გამოფენის შენობის აფეთქებისა.

**ვენა.** ჩეხიის სეიმში, როცა იმ საქმის განხილვა უნდა დაეწყოთ, Frautenau-ს ოლქის სასამართლოს გერმანელთათვის განსაკუთრებული უფლება მივანიჭოთო, მლადოჩეხებმა დიდი არეულობა მოახდინეს. საშინელი ხმაურობა ასტეხეს და ორატორებს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ობერ-ლანდ-მარშალმა მიიხმო სტენოგრაფი და უბრძანა, მოხსენება წაეკითხა; ჩეხები მისცვივდნენ, წაართვეს მოხსენების ქაღალდი, ლუკმა-ლუკმა აქციეს და ქაღალდის ნაჭრები ლანდ-მარშალს მიაყარეს, გასტეხეს საწერლები და არჩევანების ყუთი. ლანდ-მარშალი იძულებულ იქმნა იმ ღამესვე კრება დაეშალა. მლადოჩეხები შეიკრიბნენ მოსალაპარეკებლად, როგორ მოვიქცეთ, რომ გერმანელ დეპუტატთა და მდიდარ მემამულეთა ძალ-მომრეობა თავიდგან ავიცილოთო. შემდეგშიაც დიდს არეულობას მოელიან.

6 მაისი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ, სამის საათის კამათობის შემდეგ, შეიწყნარა მეორე მუხლი ირლანდიის ავტონომიის ბილლისა; კამათობა გადაიდო $^{30}/_{18}$ მაისისთვის.

**ვენა.** პრაგას სეიმში მომხდარ არეულობის გამო გუშინ იყო კრება მინისტრთა საბჭოსი; გაზეთები იუწყებიან, გადაწყვეტილია ჩეხის სეიმის გაუქმება. მლადოჩეხების დეპუტატებმა ჩეხიებგანსა და ავსტრიის ვენგრიის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან მოუვიდათ მრავალი დეპეშა და აქებენ მათ საქციელს. ჩეხიის მთავარ-მართებელი გრაფი ტუნი მთავრობამ ვენაში დაიბარა მოსალაპარაკებლად, რა საშუალებანი უნდა იქმნას მიღებული ამას შემდეგაო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დისკონტი $3^{1}/_{2}$-დგან $4^{0}/_{0}$-მდე ასწია.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მაისი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{69}$ | $7,_{72}$ | — ,, |
| ტომოჟნის კუპონები . | $163^{3}/_{4}$ | $154^{1}/_{2}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | $1,_{06}$ | — ,, |
| $5^{0}/_{0}$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $244^{1}/_{4}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^{1}/_{2}$ |
| $4^{0}/_{0}$ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | $99^{5}/_{8}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| $6^{0}/_{0}$. . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| $5^{0}/_{0}$. . . . . . | — ,, | $100^{1}/_{4}$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა $6^{0}/_{0}$. | — ,, | 101 | — ,, |
| $5^{0}/_{0}$. . . . . . | — ,, | $100^{1}/_{4}$ | — ,, |
| $5^{0}/_{0}$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | $95^{1}/_{2}$ | — ,, |


# განცხადებანი

ამხანაგობა „ჰიგიენა“
ლიზოლინი
ცუდის სუნის მომსპობი წამალი
ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება
პეტერბურგის
სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან
С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.




## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, სკოლ. სახლში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—52)

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათ სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^{1}/_{2}$—1 საათამდის, სნეულებანი: საზებრო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ა. რალლე და კომპ.
მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.
აპონური საპონი
„მუსმე“
მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.
ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.
მოსკოვი — პარიზი — მოსკოვი

„ნევის პაპრიზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. და ოდეკ.
სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.
„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.
საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—5)

ახლად გამართული
## პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა
იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტერნის ქუჩების კუთხეში, ბადლოვის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდგან. (50—50)


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Мая 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.